

2022 წლის პირველი იანვრიდან კომპანია Bolt Operations OÜ გაუწევს ოპერირებას Bolt Rides პლატფორმას და გახდება პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი

თქვენთვის Bolt-ის პლატფორმების ოპერირებაში ჩართულნი არიან შემდეგი კომპანიები:

- **პლატფორმა Bolt Rides (მგზავრობის შეკვეთა აპლიკაციით)** - კომპანია Bolt Technology OÜ (**Bolt Technology**)
- აპლიკაცია Bolt Food - კომპანია Bolt Operations OÜ (**Bolt Operations**)
- აპლიკაცია Bolt Rentals (ელექტრო სკუტერები და სერვისი Bolt Drive) - **Bolt Operations**
- როდესაც პლატფორმაზე მომსახურების გასაწევად აუცილებელია კომპანიის ადგილობრივი ლიცენზირება - რამდენადაც ამას ითვალისწინებს ადგილობრივი ლიცენზიის მოქმედების სფერო - (**ადგილობრივად ლიცენზირებადი ოპერაციები**), ჩვენი ადგილობრივი შვილობილი ან პარტნიორი კომპანია, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ადგილობრივი ლიცენზია.

გაცნობებთ, რომ **2022 წლის პირველი იანვრიდან** კომპანია **Bolt Operations** ჩაანაცვლებს კომპანია **Bolt Technology**-ს, **Bolt Rides**-ის პლატფორმაზე და გახდება ამ პლატფორმის ოპერატორი, რათა თქვენსა და ჩვენს შორის შეთანხმებები მეტად სწრაფად და მარტივად გაფორმდეს.

კომპანია **Bolt Technology**-სთან გაფორმებული ყველა შეთანხმება, თქვენს მიერ **Bolt Rides** პლატფორმის გამოყენების თაობაზე, გაფორმებული ჩვენი წესებისა და პირობების საფუძველზე და [ვებგვერდზე](#) ხელმისაწვდომი ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) თქვენსა და კომპანია **Bolt Operations**-ს შორის, ძალაშია **2022 წლის პირველი იანვრიდან**.

ზემოაღნიშნული არ ვრცელდება ადგილობრივ ლიცენზირებულ ოპერაციებზე, როდესაც ადგილობრივად ლიცენზირებული კომპანია აგრძელებს საქმიანობას როგორც **Bolt Rides** პლატფორმასთან დაკავშირებული კონტრაქტორი კომპანია და ექვემდებარება ადგილობრივი ლიცენზიის მიზნებს.

ზემოხსენებული ცვლილება გავლენას იქონიებს კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ პოლიტიკაზე, ეს გულისხმობს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას ყველა ჩვენს **პლატფორმასთან** დაკავშირებით: **2022 წლის პირველი იანვრიდან** კომპანია **Bolt Operations** მიიღებს მონაცემთა მაკონტროლებლის ფუნქციას კომპანია **Bolt Technology**-სგან ყველა საკითხზე, რაზეც კომპანია **Bolt Technology** **ამჟამად** მოქმედებს მაკონტროლებლის სახით.

კომპანია **Bolt Technology** ჩაანაცვლება ესტონეთის კანონმდებლობის შესაბამისად *სამენარმოო საქმიანობის გადაცემის* გზით, იგულისხმება, რომ Bolt Rides პლატფორმასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების გადაცემა კომპანია **Bolt Technology**-სგან კომპანია **Bolt Operations**-სთვის თქვენგან ზომების მიღებას არ მოითხოვს.

განახლებული წესები და პირობები და კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა, სადაც აისახება ცვლილებები, ხელმისაწვდომი იქნება ჩვენს [ვებგვერდზე](#) ზუსტად **2022 წლის პირველი იანვარს ან უფრო ადრე**.